



ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების ქსელი

ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების ქსელი (BES-Net) შესაძლებლობების გაზიარების „ქსელის ქსელი“, რომელიც ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის უფრო ეფექტურად მართვის მიზნით ხელს უწყობს დიალოგს მეცნიერებს, პოლიტიკას და პრაქტიკას შორის, რასაც გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანების კეთილდღეობასა და მდგრად განვითარებაში წვლილი შეაქვს. ქსელს მხარს უჭერს შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული და პირისპირ განხორციელებული აქტივობები (BES-Net-ის ტრიალოგები), შესაფერის საკითხებზე მომუშავე პირების ერთმანეთთან დაკავშირების ღონისძიებები, ასევე თანამედროვე ვებპორტალი, რომელიც ურთიერთგანმამტკიცებელ ყველა კომპონენტს შეიცავს.

BES-Net გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ხორციელდება, გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციის, მშენებლობისა და ბიოთექნოლოგიების უსაფრთხოების სამინისტროსთან, ნორვეგიის გარემოს დაცვის სააგენტოსა და სტოკჰოლმის გაძლიერების ცენტრში არსებულ SwedBio-სთან პარტნიორობით. BES-Net-ის მეშვეობით, გაეროს განვითარების პროგრამის წვლილი შეაქვს „ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების მთავრობათაშორისი პლატფორმის“ (IPBES) მუშაობაში, რომელიც შესაძლებლობების გაძლიერებაზეა ორიენტირებული. BES-Net ხელს უწყობს და აძლიერებს დიალოგს იმ თემებზე, რაც IPBES-ის გლობალურ შეფასებებს ეხმარება, ასევე იმ ძირითადი სფეროების მიმართ, სადაც გაეროს განვითარების პროგრამა ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების მართვის მიზნით მუშაობს. BES-Net ქვეყნის დონეზე შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაგროვებულ გამოცდილებას იყენებს. ამას გარდა, ის მოცემულ სფეროში საუკეთესო პრაქტიკების და გამოწვევების შესახებ დაგროვებული ცოდნის კაპიტალიზაციას ახდენს და მეცნიერებისა და პოლიტიკის ასპარეზზე პრაქტიკოსები შემოჰყავს.

თავისი მანდატის განხორციელებისას BES-Net ინკლუზიურ მიდგომას იყენებს, შესაბამის „გარემოს დაცვის შესახებ მრავალმხრივ შეთანხმებებთან“ თანამშრომლობს და ბევრი სხვა პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერას იყენებს.

BES-Net-ის აქტივობები

BES-Net-ის ვებგვერდი

BES-Net-ის ვებპორტალი „ერთი სარკმლის პრინციპით“ მოქმედებს და მასზე პოლიტიკის შესაბამისი ინფორმაცია და სასწავლო მასალებია განთავსებული. თემატური ინფორმაციის არსებული წყაროების და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების მეშვეობით, ის მომხმარებლებს მეგზურობას უწევს და მათთვის სასწავლო მასალებსა და პოლიტიკის მოკლე საინფორმაციო დოკუმენტებზე წვდომას უზრუნველყოფს. ვებპორტალი ხელს უწყობს დიალოგს იმავე თემატური სფეროების შესახებ, რაც IPBES-ის შეფასებების საგანს წარმოადგენს, ასევე იმ მთავარ სფეროებში, სადაც UNDP ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების მართვის განვითარებისთვის სამუშაოს ახორციელებს. ის ასევე ინტერაქტიულ საშუალებებს სთავაზობს ქსელის წევრებს, რათა სპეციფიკურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთთან დაკავშირება და თანამშრომლობა შესძლონ.

ვებპორტალზე ხელმისაწვდომია სრული მოღულები შემდეგ საკითხებზე: ნიადაგის დეგრადაცია და აღდგენა, დამატვერიანებლები, დამტვერვა და სურსათის წარმოება, ეკოსისტემაზე დაფუძნებული ადაპტაცია, ასევე ბიომრავალფეროვნების დაფინანსება.

ვებგვერდის ინტერაქტიული საშუალებებით მომხმარებლებს შეუძლიათ:

- ახალი შინაარსის შეთავაზება (ორგანიზება, ბიბლიოთეკაში ჩანაწერის დამატება, ექსპერტის მოსაზრება);
- პოლიტიკის მოკლე აღწერილობის მომზადების მოთხოვნა;
- დადგენა, სადაც აკლია მონაცემები;
- საერთაშორისო ექსპერტებისთვის შეკითხვის დასმა/გამოკითხვა; და
- გამოცდილების გაზიარება და უკუპასუხის მოთხოვნა ინტერნეტ-ფორუმების მეშვეობით.

შენიშვნა: ვებგვერდის IPBES-ის მიმდინარე ელემენტები საბოლოო სახით ახლა მუშავდება IPBES-თან თანამშრომლობით.

შესაფერის საკითხებზე მომუშავე პირების ერთმანეთთან დაკავშირების ფუნქციონალობა

BES-Net-ის დაკავშირების ფუნქციონალობაში ამჟამად განთავსებულია BES-Net-ის მართვის ქვეშ მყოფი ვაკანსიების სექცია, სადაც მოწოდებულია ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის სერვისების სფეროში არსებული სამუშაოების და სტაჟირების შესახებ. შესაბამის დროს, მასზე ასევე განთავსებული იქნება დაკავშირების სხვა ელემენტები, BES-Net ქსელის საჭიროებების საფუძველზე.

BES-Net-ის ტრიალოგები

შესაძლებლობების გაძლიერების პირდაპირი აქტივობები - BES-Net-ის „ტრიალოგები“ - მრავალ პარტნიორს შორის გამართული დიალოგებია, სადაც ყურადღების ცენტრშია პოლიტიკის კონკრეტული საკითხები ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. პოლიტიკის, მეცნიერების და პრაქტიკოსების წრეებს შორის ნაყოფიერი დისკუსიების ხელშეწყობით, BES-Net-ის ტრიალოგების მიზანია კონკრეტული პოლიტიკის საკითხების განხილვაში წვლილი შეიტანოს, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოებების განვითარების ტრანსფორმაციის გადამწყვეტებს მდგრადობის მიმართულებით.

კერძოდ, ტრიალოგები:

1. მეცნიერების, პოლიტიკის და პრაქტიკოსების ცალ-ცალკე მყოფ წრეებს ერთმანეთთან დაკავშირებს კულტურათაშორისი დიალოგის მეშვეობით,
2. საერთო სივრცეს შექმნის რეგიონისთვის შესაფერისი ცოდნის ერთობლივი შეფასებისა და ადგილობრივად შესაბამისი პოლიტიკის ვარიანტების შესაქმნელად, თანამონაწილეობის გზით; და
3. საერთო სამოქმედო ღონისძიების წესრიგს შეადგენს.



პირველ რაუნდში, BES-Net-ის ტრიალოგების მიზანია მხარი დაუჭიროს დასრულებული თემატური IPBES შეფასებების დანერგვას. ტრიალოგებს ამუშავდნ BMUB აფინანსებს, SwedBio-სგან მიღებული დამატებითი დაფინანსებით.

ტრიალოგებით შემოთავაზებულია:

- ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული მომზადება, რისთვისაც მიზნობრივად შეირჩევიან დამსწრეები მეცნიერების/ცოდნის მფლობელი პირების, პოლიტიკის და პრაქტიკის სფეროს წარმომადგენლებისგან, რათა უზრუნველყოფილი იქნას მონაწილეების მიერ ეფექტური წვლილის შეტანა დისკუსიებში და მათთვის შესაძლებლობის შექმნა დისკუსიების შემდეგ მოქმედების მიზნით. ტრიალოგისთვის მოსამზადებელ პროცესში მოაზრებულია ზოგადი საინფორმაციო დოკუმენტის შემუშავება მონაწილეების ჩართულობით, ასევე ადგილობრივი თანაფასილიტატორის ვადამზადება, მომხსენებლების შერჩევა და ვადამზადება;
- უმაღლესი დონის ტრიალოგის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია კულტურების დაკავშირება და განსხვავებების აღმოფხვრა მეცნიერების, პოლიტიკის და პრაქტიკოსთა წრეებს შორის, სხვადასხვა პერსპექტივების და პრაქტიკების უფრო სიღრმისეულად გაგებას უზრუნველყოფს, საერთო სფეროს ქმნის რეგიონისთვის შესაფერისი ცოდნის ერთობლივად შეფასებისთვის და საერთო სამოქმედო დღის წესრიგს ადგენს. საერთაშორისო და ადგილობრივი ფასილიტატორისგან შექმნილი გუნდი თითოეულ ღონისძიებას თანაფასილიტაციას გაუწევს;
- ქმედებაზე ორიენტირებული შედეგების დოკუმენტი, რომელშიც ტრიალოგის თემის მანდატში/შესაძლებლობებში მოაზრებული მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობა შედის. აღნიშნულ დოკუმენტში გამოვლენილია, თუ რა შესაძლებლობები არსებობს პოლიტიკის მხრივ, ბიომრავალფეროვნების მართვის საკითხების შემდგომი ინტეგრირების მიზნით განვითარების პროგრამებში. რეგიონული და ეროვნული პარტნიორობები იქმნება, რათა მხარდაჭერა და უწყვეტობა უზრუნველყონ საერთო სამოქმედო დღის წესრიგის განსახორციელებლად, ასევე რეგიონული ქსელის ფარგლებში ერთმანეთთან შესაფერისი საკითხებზე მომუშავე პირების დასაკავშირებლად. სისტემატური შემდგომი რეაგირება, რათა უფრო ფართოდ გავრცელდეს შედეგები ღონისძიების შესახებ, ხოლო მონაწილეებმა საკითხების განხილვა განაგრძონ ინტერნეტ-ტრიალოგების მეშვეობით, სადაც პრაქტიკოსთა უფრო ფართო საზოგადოებას ჰოსტინგს BES-Net-ის ვებპორტალი გაუწევს; და
- უახლესი მეთოდოლოგია ტრიალოგების შედეგად შესაძლებლობების განვითარების სფეროში მიღწეული შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, საიდანაც საჭირო ინფორმაცია იქნება მიღებული მათი უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

რეგიონული ტრიალოგები სამდღიანი ღონისძიება იქნება, რომელშიც მაღალი დონის სეგმენტი ჩაერთვება პრესის და უმაღლესი დონის წარმომადგენლობით შესაბამისი მთავრობებიდან, ასევე ამ სფეროში მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი პირები. ღონისძიებაზე დაახლოებით 50 მონაწილე შეიკრიბება რეგიონის 5-მდე სხვადასხვა ქვეყნიდან და ორგანიზებული იქნება მასპინძელი ქვეყნის, გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონული ცენტრის და გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივი ოფიცრების, ასევე რეგიონული პარტნიორების მხარდაჭერით.

პირველი BES-Net ტრიალოგი აღმოსავლეთ ევროპაში

პირველ ტრიალოგს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი უმასპინძლებს, სადაც განხილული იქნება დამამტვერიანებლები, სურსათის უსაფრთხოება და სოფლის განვითარება, შესაბამისი IPBES შეფასების მიგნებების გამოყენებით. ტრიალოგი სარაევოში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში გაიმართება 2017 წლის 18-20 ოქტომბერს და მას მასპინძლობას ბოსნია-ჰერცეგოვინის გარემოსა და ტურიზმის ფედერალური სამინისტრო გაუწევს, როგორც IPBES-ის საკონტაქტო პირი, „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ღია ფონდის - ბიომრავალფეროვნების“ (ORF-BD) მხარდაჭერით. აღნიშნულ ღონისძიებას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ GmbH) ახორციელებს, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაფინანსებით.

ღონისძიებას დაახლოებით 50 დაკავშირებული მხარე დაესწრება ალბანეთიდან, ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, საქართველოდან, მოლდოვასა და მონტენეგროდან, რომლებიც BES-Net-ის ადგილობრივი ფერმერების და მეფუტკრეების, მეცნიერების და პოლიტიკის შემუშავებელი პირების სამივე საზოგადოებას წარმოადგენენ. ღონისძიებაზე ასევე მონაწილეობს მაღალი დონის სეგმენტი პრესის მონაწილეობით.

ტრიალოგის მიმდინარეობისას მონაწილეები ერთობლივად შეაფასებენ არსებულ სიტუაციას, სადაც ასევე განხილული იქნება რეგიონში დამამტვერიანებლების შემცირების ეკონომიკური ზეგავლენა და გამომწვევი მიზეზები, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს ეს ბიომრავალფეროვნებაზე; ასევე, სერვისები, რასაც დამამტვერიანებლები უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის, აგრობიზნესის და სურსათის უსაფრთხოების თვალსაზრისით, დამამტვერიანებლების და მათი ჰაბიტატების მდგრადი სახით მართვის მნიშვნელოვანი თანასარგებელი ეკოსისტემაზე დაფუძნებული ადაპტაციის მიზნებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს <http://www.besnet.world/node/1936>.

UNDP Global Policy Centre on Resilient Ecosystems and Desertification (GC-RED)
P.O. Box 30218-00100, Nairobi, Kenya
Tel: (254-20) 7624640/42 | Email: info@besnet.world | Web: <http://www.besnet.world>

